საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გრიგოლ ოშკელი

გრიგოლ ოშკელი, X ს. მწიგნობარი, მთარგმნელი. ზედწოდების მიხედვით ივარაუდება, რომ უნდა ყოფილიყო ოშკის ერთ-ერთი მოღვაწე.

ეფრემ მცირეს ხელახლა უთარგმნია გ. ო-ის მიერ სომხურიდან თარგმნილი *თხზ.* „ევნომიანოსთა მიმართ და ღმრთისმეტყველებისათვს", რ-ის მინაწერში ვკითხულობთ: „ლოცვა ყავთ, წმიდანო და ქრისტეს მოყუარენო, ეფრემისათვს თარგმანისა, რომლისა მიერ მეორედ ითარგმნა ესე საკითხავი, რამეთუ ნეტარისა გრიგოლ ოშკელისა მიერ სომხურისაგან თარგმნილი ესოდენ ვპოვე" (ხელნაწ. ეროვნ. ცენტრი, A–292).

ხელნაწ. ეროვნ. ცენტრის ერთ-ერთ ნუსხაში (A– 87) დაცულია თხზულება, რ-ის მთარგმნელად გ. ო. მოიხსენიება: „საკითხავი სამხილებელი არიანოსთა და ევნომიანოსთა ბოროტად უწესოებისაჲ, რომელნი იგი მოსწრაფე იყვნეს წვალებისაებრ თვსისა ცთომილად ღმრთისმეტყველებად და წინაშე ურწმუნოთა საშჯელსა ჰყოფდეს მართლმადიდებელთა თანა და უღირსთა და ჭაბუკთა კაცთა მღდელად და ეპისკოპოსად ქელთა დაასხმიდეს და სხუასა მრავალსა უწესოებასა იქმოდეს, რომელთაცა ამხილა წმიდამან გრიგოლი". კ. კეკელიძის აზრით, გ. ო-ის თარგმნილი უნდა იყოს ამავე ნუსხაში დაცული გრიგოლ ღვთისმეტყველის კიდევ ერთი თხზულება – "ქებაჲ და შესხმაჲ ნეტარისა კესარიოს ძმისა თვსისაჲ, რომელი ესე თქუა ჟამსა მიცვალებისა მისისა".

ლიტ.: ა ბ უ ლ ა ძ ე ი., ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX–X სს., თბ., 1944; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960.

მ. ქავთარია